



დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი

„თეთნულდი“ დირექტორის 2014 წლის 27

ივნისის #54 ბრძანებით

**2014 წელი**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**შემდუღებელი**

**მესამე საფეხური**

## 1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

შემდუღებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძვნება:

- "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (2010);
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
- შესაბამის პროფესიულ სტანდარტს
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121-ე ბრძანებას "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესახებ;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;

## 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

შემდუღებელი

## 1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

შემდუღებელი 041272

## 1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

## 1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სულ 45 კრედიტს /1125 სთ/

- კრედიტების 60% -- 675 სთ/ ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს
- კრედიტების 40% --- 450 სთ/ ეთმობა თეორიულ კომპონენტს

## 1.6. სწავლების ხანგრძლივობა

სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა 31 კვირა --7 თვე

## 2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაიშვება პირი რომელსაც აქვს საბაზო განათლება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

## 3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

შემდუღებლის დასაქმების სფეროებია: მანქანათმშენებლობა, ბინათმშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, გემთმშენებლობა, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა სარემონტო საწარმოები, მრეწველობის სხვა. კურსდამთავრებულს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე

## 4. პროფესიული პროგრამის მიზნები

აღნიშნული პროფესიისთვის სპეციალისტების მომზადება, პროფესიული ცოდნის მიღება, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო პროფესიის დაუფლება, კონკრეტულ შრომით საქმიანობაში უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონის მიღწევა. წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის მიხედვით შემდუღებელი არის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

## 5. სასწავლო გეგმა

## 5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
<b>ს.შ.1. ცოდნა და გაცნობიერება</b>	
<p>მოდული ა): აქვს ელექტრორკალური შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. დაუფლებულია ხელით და ნახევრადავტომატური რკალურ შედეგებს ქვედა(0–60°) ვერტიკალურ (60–120°) და ჰორიზონტალურ(120–180°) მდებარეობაში, ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. დაუფლებულია საშემდებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p> <p>მოდული ბ) აქვს აირალოვანი შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. იცის აირალოვანი შედეგების ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები. დაუფლებულია ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. მიღებული აქვს ცოდნა ლითონური მასალების აირალოვანი ჭრის მეთოდზე. დაუფლებულია საშემდებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p> <p>მოდული გ): აქვს პლასტმასების შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. იცის პლასტმასების შედეგების ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები. დაუფლებულია ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. დაუფლებულია საშემდებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p>	<p><b>სპეცტექნოლოგია</b></p> <p><b>ელტექნიკა</b></p> <p><b>ელექტრონიკის</b></p> <p><b>საფუძვლები</b></p> <p><b>მასალათმცოდნეობა</b></p>
<b>ს.შ.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	
<p>შეუძლია გამოიყენოს შედეგების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. შეირჩიოს მასალათა დამუშავების მეთოდი, მოწყობილობა და რეჟიმის ძირითადი პარამეტრები. დამოუკიდებლად შეასრულოს ნებისმიერი სირთულის კონსტრუქციებისა და მილსადენების შედეგება.</p>	<p><b>სპეცტექნოლოგია</b></p> <p><b>სასწავლო პრაქტიკა</b></p> <p><b>მასალათმცოდნეობა</b></p>
<b>ს.შ. 3.დასკვნის გაკეთების უნარი</b>	
<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში საშემდებლო სამუშაოებში წამოჭრილი უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება, ანალიზი და გადაწყვეტა.</p>	<p><b>სასწავლო პრაქტიკა</b></p>
<b>ს.შ.4.კომუნიკაციის უნარი</b>	
<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია შედეგებსათან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ</p>	<p><b>სასწავლო პრაქტიკა</b></p>

სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	<b>უცხო ენა (ინგლისური)</b>
<b>ს.შ.5. სწავლის უნარი</b>	
შეუძლია აილოს პასუხისმგებლობა შემდგომ სწავლა-განათლებაზე; აითვისოს შედეგებისა და ჭრის თანამედროვე მეთოდები, დახვეწოს შესრულების ტექნიკა, გაიუმჯობესოს ჩვევები და აიმაღლოს კვალიფიკაცია.	<b>სასწავლო პრაქტიკა მასალათმცოდნეობა</b>
<b>ს.შ.6. ღირებულებები</b>	
განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს შემდუღებლის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. კერძოდ, სამუშაოს სირთულის ზრდასთან ერთად, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მის შესრულებას, ითვალისწინებს რა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების უარყოფით შედეგებს; გააზრებული აქვს ის მძიმე ფიზიკური დატვირთვა, რასაც მოითხოვს მაღალი ხარისხით შესრულებული რთული საშემდუღებლო ოპერაციების წარმოება, აღიარებს ჯანსაღი ცხოვრების წესს და ზრუნავს საკუთარი ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე. მკაცრად იცავს უსარფთხოების წესებს. უვლის სამუშაო გარემოს.	<b>სასწავლო პრაქტიკა ელტექნიკა ელტექნიკის საფუძვლები</b>

## 5.2. სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსები/მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხო ენა (ინგლისური)	+	+		+		
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	+	+		+		
სამეწარმეო საქმიანობა	+	+		+		+
ელტექნიკა ელექტრონიკის საფუძვლები	+	+	+			
სპეცტექნოლოგია	+	+	+			
მასალათმცოდნეობა	+	+	+			

სასწავლო პრაქტიკა	+	+				
საწარმოო პრაქტიკა	+	+				

5.3. სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

სასწავლო 25 კვირა

საწარმოო პრაქტიკა 6 კვირა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა	კვირული დატვირთვა	
		საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები (საათი)			
		ლექცია /პრაქტიკული (საათი)	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა (საათი)	საწარმოო პრაქტიკა (საათი)	შუალედური/	დასკვნითი შეფასება (საათი)				
1	უცხო ენა (ინგლისური)	2	21				2	2	25	50	1
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	3	46				2	2	25	75	2
3	სამეწარმეო საქმიანობა	2	21				2	2	25	50	1
4	ელტექნიკა ელექტრონიკის საფუძვლები	3	46				2	2	25	75	2
5	სპეცტექნოლოგია	4	71				2	2	25	100	3
6	მასალათმცოდნეობა	4	71				2	2	25	100	3
7	სასწავლო პრაქტიკა	18,6			459		4	2		465	18,6
8	საწარმოო პრაქტიკა	8,4			204		4	2		210	35

9	სულ	45	276		459	204	20	16	150	1125	
---	-----	----	-----	--	-----	-----	----	----	-----	------	--

#### 5.4. სწავლების პროცესის ორგანიზება

სასწავლო კურსების/მოდულების კვირეული განაწილება

№	სასწავლო კურსები/მოდულები	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	...	...	XX კვირა	XXI კვირა	XXII კვირა	XXIII კვირა	XXIV კვირა	XXV კვირა	XXVI კვირა	XXVII კვირა	XXVIII კვირა	XXIX კვირა	XXX კვირა	XXXI კვირა	ჯამი
1	უცხო ენა (ინგლისური)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1							25
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2							50
3	სამეწარმეო საქმიანობა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1							25
4	ელტექნიკა ელექტრონიკის საფუძვლები	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2							50
5	სპეცტექნოლოგია	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3							75
6	მასალათმცოდნეობა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3							75
7	სასწავლო პრაქტიკა	18	18	18	18	18	18	18	21	21	21	21	21							465
8	საწარმოო პრაქტიკა													35	35	35	35	35	35	210
9	სულ	30	30	30	30	30	30	30	33	33	33	33	33	35	35	35	35	35	35	975

#### 5.5. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

თეორიული და სასწავლო პრაქტიკა მოიცავს 25 კვირას, საწარმოო პრაქტიკა 6 კვირას. სასწავლო კურსების/მოდულების მონაცვლეობის აისახება სასწავლო კურსის/მოდულების კვირეულ განაწილებაში შემდეგნაირად: I კვირიდან XX კვირის ჩათვლით საათების კვირეული განაწილება შეადგენს 30 სთ; XX კვირიდან XXV კვირის ჩათვლით საათების კვირეული განაწილება შეადგენს 33 სთ; საწარმოო პრაქტიკის კვირეული დატვირთვა არის 35 სთ;

## 6. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, სწავლებისა და სწავლის მიდგომების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურება, პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებები და დამსაქმებელთა მოთხოვნები. თითოეული საგნის სწავლების მეთოდოლოგია დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

## 7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

მიუთითეთ, პროფესიული სტუდენტის რა სახის სასწავლო დატვირთვას მოიცავს პროგრამა. მაგალითად:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- შემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადება და ჩაბარება;

## 8. შეფასების სისტემა

### 8.1. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გავლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.



პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**შეფასების ფორმა:**

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

**შეფასების მეთოდი:**

- ტესტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

**8.2. შეფასების ინსტრუმენტები**

**პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:**

პრაქტიკული დავალები  
სიტუაციური ამოცანა  
დემონსტრირება

**შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:**

ტესტი  
დაკვირვება და დემონსტრირება

**8.3. სიზუსტის ხარისხი**

თითოეული შედეგის შეფასებისათვის შერჩეული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს მაქსიმალურ სიზუსტეს. განსაზღვრულია ნებადართული შეცდომების რაოდენობა და მათი რანჟირება მნიშვნელოვნების მიხედვით, მინიმალური დადებითი ქულა. ( შეფასების კრიტერიუმები თან ახლავს თითოეულ სილაბუსს)

**8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო**

თითოეული შეფასებისათვის ინსტრუმენტის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სათანადო დრო.

### 8.5. შეფასების ცხრილი

თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები (რა ცოდნა და უნარი ფასდება), რა კონტექსტში უნდა მოხდეს შეფასება ამ კრიტერიუმების მიხედვით (მაგ. სამუშაო ადგილას, იმიტირებულ სამუშაო გარემოში და სხვა) და რა მეთოდით ხდება შეფასება.

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
<b>ს.შ.1. ცოდნა და გაცნობიერება</b>	
<p>მოდული ა): აქვს ელექტრორკალური შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. დაუფლებულია ხელით და ნახევრადავტომატური რკალურ შედეგებს ქვედა(0–60°) ვერტიკალურ (60 –120°) და ჭერულ(120 –180°) მდებარეობაში, ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. დაუფლებულია საშემდულებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p> <p>მოდული ბ) აქვს აირალოვანი შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. იცის აირალოვანი შედეგების ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები. დაუფლებულია ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. მიღებული აქვს ცოდნა ლითონური მასალების აირალოვანი ჭრის მეთოდზე. დაუფლებულია საშემდულებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p> <p>მოდული გ): აქვს პლასტმასების შედეგების ტექნოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა. იცის პლასტმასების შედეგების ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები. დაუფლებულია ცოდნას მასალის გვარობის და სისქის მიხედვით შედეგების მეთოდისა და ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევაში. დაუფლებულია საშემდულებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესებს.</p>	<p>1.ტესტი</p> <p>2.დაკვირვება და დემონსტრირება</p> <p>3.პრაქტიკული დავალება</p>
<b>ს.შ.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	
შეუძლია გამოიყენოს შედეგების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. შეირჩიოს მასალათა	1.ტესტი

<p>დამუშავების მეთოდი, მოწყობილობა და რეჟიმის ძირითადი პარამეტრები. დამოუკიდებლად შეასრულოს ნებისმიერი სირთულის კონსტრუქციებისა და მილსადენების შედუღება.</p>	<p><b>2.დემონსტრირება</b> <b>3.პრაქტიკული დავალება</b></p>
<p><b>ს.შ. 3.დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	
<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში საშემდუღებლო სამუშაოებში წამოჭრილი უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება, ანალიზი და გადაწყვეტა.</p>	<p><b>1.დემონსტრირება</b> <b>2.პრაქტიკული დავალება</b></p>
<p><b>ს.შ.4.კომუნიკაციის უნარი</b></p>	
<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია შედუღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p><b>1.პრაქტიკული დავალება</b> <b>2.ტესტი</b></p>
<p><b>ს.შ.5. სწავლის უნარი</b></p>	
<p>შეუძლია აილოს პასუხისმგებლობა შემდგომ სწავლა–განათლებაზე; აითვისოს შედუღებისა და ჭრის თანამედროვე მეთოდები, დახვეწოს შესრულების ტექნიკა, გაიუმჯობესოს ჩვევები და აიმაღლოს კვალიფიკაცია.</p>	<p><b>1.ტესტი</b></p>
<p><b>ს.შ.6. ღირებულებები</b></p>	
<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს შემდუღებლის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. კერძოდ, სამუშაოს სირთულის ზრდასთან ერთად, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მის შესრულებას, ითვალისწინებს რა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების უარყოფით შედეგებს; გააზრებული აქვს ის მძიმე ფიზიკური დატვირთვა, რასაც მოითხოვს მაღალი ხარისხით შესრულებული რთული საშემდუღებლო ოპერაციების წარმოება, აღიარებს ჯანსაღი ცხოვრების წესს და ზრუნავს საკუთარი ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის შენარჩუნება-</p>	<p><b>1.პრაქტიკული დავალება</b> <b>2.ტესტი</b> <b>3.დემონსტრირება</b></p>

გაუმჯობესებაზე. მკაცრად იცავს უსარფთხოების წესებს. უვლის სამუშაო გარემოს.

### 9. ადამიანური რესურსი

საგანი	მასწავლებელი	კვალიფიკაცია
უცხო ენა (ინგლისური)	ნანა ფილფანი	ინგლისური ენის მასწავლებელი
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	მაიკო გულედანი	მიკრო ელექტრონიკა
სამეწარმეო საფუძვლები	ზაირა ქურდიანი	გეოგრაფიის მასწავლებელი, სერთიფიკატები: სემინარი პროფესიული ცენტრების ეკონომიკის მასწავლებლებისათვის, ბიზნესის მართვის უნარჩვევები, კურსი: საგადასახადო საკითხები
ელტექნიკა ელექტრონიკის საფუძვლები	ვახტანგ ფილფანი	ინჟინერ მშენებელი
სპეცტექნოლოგია	გუა გულედანი	ისტორიკოსი, ელექტრო რკალური შემდუღებელი
მასალათ მცოდნეობა	გუა გულედანი	ისტორიკოსი, ელექტრო რკალური შემდუღებელი
სასწავლო პრაქტიკა	გუა გულედანი	ისტორიკოსი, ელექტრო რკალური შემდუღებელი
საწარმოო პრაქტიკა	გუა გულედანი	ისტორიკოსი, ელექტრო რკალური შემდუღებელი

## **10. მატერიალური რესურსი**

სასწავლო აუდიტორია

კომპიუტერული აუდიტორია

## **11. პრაქტიკის გავლის ადგილი:**

ინდ. მეწარმე მაიზერ ბერძენაძე

## **12. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი**

**დოკუმენტის სახე და მისასანიჭებელი კვალიფიკაცია**

*პროფესიული დიპლომი*

*შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია*

## **13. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება**

ხელმოწერა:

საგანმანათლებლო დაწესებულება:

თარიღი: